საქართველოს გენერალურ პროკურატურას

განცხადება

(გამოძიების დაწყების შესახებ)

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის და საქართველოს ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, გელათის სამონასტრო კომპლექსში შემავალი მთავარი ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი დაზიანებულია. გელათის სამონასტრო კომპლექსის ტაძრებში უხარისხო გადახურვის გამო, რომელიც 2016-2019 წლებში გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია-რესტავრაციის ფარგლებში განხორციელდა, წყალმა შეაღწია და კედლის მხატვრობა ძლიერ დააზიანა. აღნიშნული შედეგი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის თებერვალ-მარტის საველე დათვალიერებების ანგარიშის თანახმად, კრამიტის მწარმოებლის ცვლილებით (კრამიტი განსხვავებული მასალით თეთრი კერამიკით დაამზადა) იყო გამოწვეული.[1] გელათის სამონასტრო კომპლექსში დარღვევებით ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით 2020 წელს გამოძიება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოს მიერ ძეგლის დაზიანებისა და თანხების შესაძლო მითვისების საფუძვლით დაიწყო.[2] ამ დრომდე გენერალური პროკურატურა არ აწარმოებს გამოძიებას სავარაუდო სამოხელეო დანაშაულზე.

ქვემოთ განხილული ექსპერტთა დასკვნებით, გელათის მხატვრობა არათავსებადი მეთოდოლოგიით განხორციელებული ჩარევების, ტენიანობისა და მარილების ზემოქმედების შედეგად, აქტიური დაზიანებისა და ავთენტური მოხატულობების მზარდი დანაკარგების პროცესშია. ამ დრომდე არ მოწყობილა მოხატული ტაძრების ერთიანი დროებითი გადახურვა, რაც მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის, 2021 წლის 16-31 ივლისს გამართულ 44-ე სესიის დადგენილებაში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული.

წინამდებარე განცხადება ასახავს გელათის სამონასტრო კომპლექსში თეა წულუკიანის მინისტრობის პერიოდში და მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული რეკონსტრუქცია-კონსერვაციის სამუშაოების შედეგად კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მყოფი ძეგლისთვის შეუქცევადი ზიანის მიყენების ფაქტობრივ მტკიცებულებებს. დამდგარი გამოუსწორებელი ზიანი მოვლენათა განვითარების ქრონოლოგიის გათვალისწინებით სავარაუდო სამოხელეო დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, რაც გამოძიების დაწყების მოთხოვნით გენერალური პროკურატურისთვის მომართვის საფუძველი გახდა.

[1] https://www.facebook.com/georgianheritage/photos/a.115611781849867/3074575369286812

[2] https://www.radiotavisupleba.ge/a/31659860.html

გელათის სამონასტრო კომპლექსის გარშემო განვითარებულ მოვლენათა ქრონოლოგია

თეა წულუკიანი კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად (შემდგომში მინისტრი) 2021 წლის 19 მარტს დაინიშნა. თეა წულუკიანმა მინისტრად დანიშვნიდან რამდენიმე დღეში განაცხადა, რომ გელათის რესტავრაციისას "სერიოზული ხარვეზები" დაუშვა ძეგლთა დაცვის ეროვნულმა სააგენტომ. *"მე, როგორც დეპუტატი, ახლა უკვე მინისტრი, იმიტომ, რომ ჩავიხედე საქმეში, ჩავიხედე დოკუმენტებში, ჩავიხედე პროექტში, მოვუსმინე ადამიანებს და ბევრ მათგანს, ნამდვილად ვთვლი, რომ ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოს აქვს სერიოზული ხარვეზები დაშვებული გელათის რესტავრაციის პროცესში. ეს პროცესი დაიწყო 2008 წელს და დღემდე გრძელდებოდა. ჩვენ მოგვიწევს ამ ხარვეზების გამოსწორება, რაც, სამწუხაროდ, დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული"*, — განაცხადა წულუკიანმა *იმედის* ეთერში.[3] ამასთანავე, მინისტრი არაერთ საჯარო გამოსვლაში გაემიჯნა მიმდინარე გამოძიებას იმაზე მითითებით, რომ ტაძრის გადახურვა მისი მინისტრობის დროს არ ჩატარებულა[4] *,,უარს ვამბობ პასუხი ვაგო იმაზე, თუ რა ხდებოდა 2021 წლის მარტამდე. 2021 წლის მარტამდე პრობლემებზე კულტურის მინისტრი წულუკიანი პასუხს არ და ვერ აგებს*"[5] აცხადებდა მინისტრი თეა წულუკიანი.

თეა წულუკიანის მინისტრად დანიშვნის დროისთვის უკვე არსებობდა ICOMOS-ის 2020 წლის დეკემბრის დასკვნა ღვთისმშობლის შობის ეკლესიის კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ, ასევე ხარაჩოების და დროებითი გადახურვის პროექტი, მიმოხილვა და რეკომენდაციები. ICOMOS-ის ჯერ კიდევ 2020 წელს გასცემდა რეკომენდაციას, ყოვლისმომცველი დროებითი გადახურვის უზრუნველყოფაზე. დროებითი გადახურვის მოწყობის შემდეგ კი ტაძრის ინტერიერში კედლების გაშრობის პროცესზე გასცემდა რეკომენდაციას, რომ გამოშრობა **არ უნდა წარიმართოს ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებების ფონზე**. ეს შესაძლებელი იქნება ინტერიერში **კლიმატის მუდმივი კონტროლის** და საჭიროების შემთხვევაში რეგულირების საშუალებით, რადგან თავიდან იქნეს აცილებული ყინვის ფაზა ან/და სწრაფი გამოშრობა. ICOMOS-მა 2021 წლის აპრილში კვლავ წარმოადგინა ტექნიკური მიმოხილვა, სადაც ნათლად არის აღნიშნული გელათის კედლის მხატვრობის აქტიური და მიმდინარე დაზიანების ფაქტები. ორივე დასკვნაში **ICOMOS-ი მოუწოდებდა კულტურის სამინისტროს სიფრთხილისაკენ, დროებითი გადახურვის გაფართოების და გამაგრებისაკენ, რაც მთავარია მოკლე და გრძელვადიანი საკონსერვაციო გეგმის შემუშავებისაკენ.**

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) ინიციატივით, გელათის მონასტერში 2021 წლის 22-28 ივნისს (ღვთისმშობლის შობის ტაძარი) მოეწყო პირველი საერთაშორისო მისია. მისიაში მონაწილეობდნენ უგო ტონიეტი და სარა სტეფანინი, რომლებიც წარმოადგენენ ReStruere Ltd-ს, ფლორენციის უნივერსიტეტის Spin-off-ს. ასევე **მარიო პულიერი და ვინჩენცო ჩენტანი**, რომლებიც წარმოადგენდნენ Associazine Giovanni Secco Suardo-ს. უგო ტონიეტისა და სარა სტეფანინის

[3] თეა წულუკიანის განცხადება „იმედის" ეთერში, 22 მარტი, 2021 წ

[4] https://mail.ajaratv.ge/article/111043

[5] გასაიდუმლოებული ფიასკო გელათზე, თავისუფლების მონიტორი, 21 ნოემბერი 2022 https://monitori.ge/gasaidumloebuli-fiasko-gelatze/

მისია მიზნად ისახავდა, წყლის ინფილტრაციის მიზეზების შესახებ წინასწარული მოსაზრებების წარდგენას და წყლის შეღწევისგან დაცვის გზების შესახებ რეკომენდაციების მომზადებას. მარიო პულიერისა და ვინჩენცო ჩენტანის მიერ განხორციელებული სამუშაო მიზნად ისახავდა, შეეფასებინათ ღვთისმშობლის შობის ტაძრის მთავარი სივრცის მხატვრობის მდგომარეობა და ტექნოლოგია, ასევე, დაზიანებების გამომწვევი მიზეზები და რეკომენდაცია გაეწიათ საჭირო გადაუდებელი ჩარევებისთვის, რომლებიც დაფუძნებული იქნებოდა მხატვრობაზე განხორციელებულ ტესტირებებზე.

ძეგლზე განხორციელებულ ჩარევებამდე, მარიო პულიერის და ვინჩენცო ჩენტანის მიერ შემუშავებულმა კედლის მხატვრობის რეაბილიტაცია-კონსერვაციის მეთოდოლოგიამ - საწყისსავე პერიოდში, მათ შორის 2021 წლის ივნისში არსებითი კრიტიკა გამოიწვია.
22-28/06/2021 საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, გელათის მონასტერში (ღვთისმშობლის შობის ტაძარი) მოეწყო პირველი საერთაშორისო მისია. მისიაში კედლის მხატვრობის პრობლემის მოგვარების მიმართულებით მონაწილეობდნენ მარიო პულიერი (TECNI.CO.R. snc) და ვინჩენცო ჩენტანი (CENTANNI RESTAURI snc). მარიო პულიერის და ვინჩენცო ჩენტანის 2021 წლის ივნისის მისიის შესახებ მოხსენების მიღების შემდეგ, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ რამდენიმე შეხვედრა მოაწყო. შეხვედრებს ესწრებოდნენ კედლის მხატვრობის ქართველი ექსპერტებიც. ამ შეხვედრებზე, ქართველმა სპეციალისტებმა, მოწოდებულ ანგარიშთან დაკავშირებით **კრიტიკული კითხვები წამოჭრეს და გადაუდებელი ჩარევის რისკებთან დაკავშირებით თავიანთი აზრი გამოთქვეს. შეშფოთების ფონზე**, ქართველმა სპეციალისტებმა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ურჩიეს, თხოვნით მიემართათ საერთაშორისო ექსპერტებისთვის (როგორც მესამე მხარისთვის), რათა შეეფასებინათ მარიო პულიერისა და ვინჩენცო ჩენტანის მიერ შემუშავებული საკონსერვაციო კვლევა და ხედვები.

შეხვედრებზე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ლიზა შეკედესა და სტივენ რიკერბის მიერ **2021 წლის 15 სექტემბერს** მომზადდა ალტერნატიული დასკვნა მარიო პულიერისა და ვინჩენცო ჩენტანის ანგარიშის შესახებ. დასკვნაში შეკედემ და რიკერბიმ უკიდურესად კრიტიკულად შეაფასეს კონსერვაციის პროექტი და მსგავსი **ჩარევა კედლის მხატვრობაზე დაუშვებლად მიიჩნიეს**. დასკვნაში ვკითხულობთ: "ძალიან ძნელია დაეთანხმო იმას, რომ აღნიშნული ანგარიშით შესაძლებელია მართო და მეტადრე, გამოასწორო არსებული მდგომარეობა. მით უფრო, რომ საქმე საქართველოს ერთ-ერთ უძველეს, უმნიშვნელოვანეს ძეგლს ეხება. თუ აქ წარმოდგენილ რეკომენდაციებს მიჰყვებით, ისედაც მძიმე მდგომარეობაში არსებული ძეგლი **კიდევ უფრო კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება".**

მინისტრ წულუკიანის მიერ არათუ ლიზა შეკედესა და სტივენ რიკერბის დასკვნის გათვალისწინება, არამედ ამ შეფასების შესახებ საზოგადოებისა და სპეციალისტების ინფორმირებაც არ მომხდარა. შესაბამისად, მიუხედავად ალტერნატიული კვლევის

შედეგებისა თუ ექსპერტთა მოსაზრებებისა და რეკომენდაციებისა, მინისტრის მიერ შერჩეულმა ჯგუფმა (პულიერი და ჩენტანიმ) 2021 წლის 16-21 ოქტომბერს ჯერ კიდევ გამოუმშრალ, სველ ბათქაშზე განახორციელეს არა მხოლოდ საკონსერვაციო, არამედ სარესტავრაციო სამუშაოებიც, რამაც მოგვიანებით კედლის მხატვრობა კრიტიკულ მდგომარეობამდე მიიყვანა, რაც დადასტურდა არაერთი საერთაშორისო ექსპერტის მიერ, რაზეც დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ.

2022 წლის თებერვალში საერთაშორისო ICOMOS-მა კვლავ წარმოადგინა ანგარიში გელათის კედლის მხატვრობის კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ, სადაც მოუწოდა კულტურის სამინისტროს, უშუალოდ კედლის მხატვრობის რესტავრაცია-კონსერვაციის დაწყებამდე განახორციელონ გამოსაყენებელი მასალის ტესტირება და მჭიდრო კომუნიკაცია დაამყარონ გადახურვაზე მომუშავე ჯგუფთან. „ICOMOS-ი ურჩევს სახელმწიფოს, პროგრამის II ეტაპის ფარგლებში, ჩაატარეთ ყველა მხატვრობის მდგომარეობის დეტალური შეფასება, ძირითადი საკითხების გადასაჭრელად ყოვლისმომცველი წინადადებების წარდგენამდე.“

2022 წლის 1-3 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ **საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო** მოიწვია შემდეგი შემადგენლობით: ოსტინ ნევინი, სარა სტენიფორსი, ლორინდა ვონგი და ფრანჩესკა პიკე. საერთაშორისო მრჩეველთა საბჭომაც მკაცრად გააკრიტიკა პულიერისა და ჩენტანის გელათის კედლის მხატვრობის კონსერვაციის გეგმა და ხაზი გაუსვა მიმდინარე კონსერვაციის პროცესის ადეკვატური დოკუმენტაციის არარსებობას. ეს დასკვნა, არსებითად, იმეორებს შეკედესა და რიკერბის დასკვნას. დასკვნის მიხედვით, გელათის კედლის მხატვრობა ტენიანობის და ხსნადი მარილების დესტრუქციული არსებობის გამო სერიოზული მიმდინარე დაზიანების და მისი დაკარგვის პროცესშია. ტენიანობის პრობლემის მოგვარება უმთავრესი პირველი ნაბიჯია, რასაც მოჰყვება კედლების კონტროლირებადი გაშრობა. ამ პროცესს დრო დასჭირდება, და ეკლესია და მისი კედლის მხატვრობა მოითხოვს ხანგრძლივი მოვლის პროგრამას. ამიტომ საბჭოს აზრით, ,,რეკომენდებულია ***გადაუდებელი მკურნალობის/ჩარევების (იგულისხმება პულიერისა და ჩენტანის გეგმით უკვე მიმდინარე რესტავრაციის პროცესი) მიმდინარე გეგმის გადასინჯვა”.***

მიუხედავად დასახელებული გაფრთხილებებისა, **კულტურის სამინისტროს მიერ არც ამ რეკომენდაციის შესრულება მომხდარა და** პროცესი კვლავ გრძელდებოდა. საქართველოს საპატრიარქოს მიერ ორგანიზებული ექსპერტთა მისიის დროს გამოვლინდა, რომ 2022 წლის ივნის-სექტემბერში მთავარი ტაძრის ნაწილში განხორციელდა მასშტაბური ჩარევა ადრე შემუშავებული მეთოდოლოგიით. ამასთან ერთად, **განხორციელებულია არა გადაუდებელი ჩარევა, არამედ ჩატარებულია სრული საკონსერვაციო სამუშაო. იტალიელი ექსპერტების მიერ შერჩეული მეთოდოლოგიით სამუშაოები რომ 2022 წლის სექტემბრის ბოლომდე გრძელდებოდა, ერთ-ერთ გადაცემაში მინისტრი წულუკიანი თავადვე ადასტურებს.**[6] სწორედ 2022 წლის სექტემბერში ძეგლზე განხორციელებული ჩარევების შემდეგ შეჩერდა სამუშაოები, რასაც როგორც მოგვიანებით მინისტრი აცხადებდა, არ ეთანხმებოდა.

[6] https://bit.ly/3O4N8aT

რაც შეეხება თეა წულუკიანის პოზიციონერებას ამ დროისთვის: 2022 წლის სექტემბერში მინისტრის საათის ფორმატში პარლამენტში წულუკიანმა განაცხადა:[7] ,,არც ერთ კრამიტს, ექსპერტიზა არ ჰქონია ჩატარებული არც წყლის შეღწევადობაზე, არც სიმტკიცეზე და არც სხვა იმ პარამეტრზე, რაც კრამიტს სჭირდება, მანამ სანამ ძეგლს დაახურავ. ეს არის ის რეალობა, რაზეც მე არ ვაგებ პასუხს. დღეს პროცესი არის სწორ გზაზე. ეს დასტურდება დოკუმენტურად. გელათი არ ინგრევა. გელათის ძირითადი ტაძრის დასავლეთ და ჩრდილოეთ მკლავში არის პრობლემები, რომლებიც აღმოფხვრის პროცესშია. მთავარია რომ შრომა მიმდინარეობს, მთავარია რომ წყალი არ ჩადის, მთავარია რომ ჰიდრომეტრული მონაცემები არის საიმედო."

შესაბამისად, მის მინისტრად დანიშვნამდე გადახურვასთან დაკავშირებული პრობლემებზე აქცენტერებისას, წულუკიანმა საზოგადოებას კვლავ დაუმალა ზემოთ დასახელებული ალტერნატიული კრიტიკული შეფასებები და რეკომენდაციები, რაც ამ დროისთვის არსებობდა და რისი გაუთვალისწინებლობის შედეგადაც გელათის მდგომარეობა კრიტიკულად დამძიმდა.

გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს მიერ პულიერისა და ჩენტანის მეთოდოლოგიით განხორციელებულ სამუშაოებზე შემუშავებული ალტერნატიული დასკვნები საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის პროფკავშირის საჯარო განცხადებისა და თავისუფლების მონიტორის 2022 წლის 21 ნოემბრის ჟურნალისტური გამოძიების - ,,გასაიდუმლოებული ფიასკო გელათზე"[8] შედეგად. სწორედ ამ საექსპერტო დასკვნის გადაცემაში გასაჯაროებას მოჰყვა **2022 წლის 24 ნოემბერს** ტელეკომპანია იმედზე[9] მინისტრის სტუმრობა. ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რატომ არ გახდა ეს დასკვნა საჯარო, მინისტრი პასუხობს: *,,ამ დასკვნის მესაკუთრე არ არის სახელმწიფო. ეს დასკვნა დაუკვეთა საქართველოს საპატრიარქომ. თუ საპატრიარქო ჩათვლის საჭიროდ რომ ეს დასკვნა გამოაქვეყნოს, მაგრამ უკვე გაჟონილია და თქვენც გიდევთ მაგიდაზე. რა თქმა უნდა ამ დასკვნას მეც ვიცნობ და მეც მედო მაგიდაზე თავის დროზე. მაგრამ ეს დასკვნა არ არის ჩემი დაკვეთილი. ეს ექსპერტები მოიწვია საპატრიარქომ და მათი სურვილი იყო გადაემოწმებინათ ის რაც კეთდება.* ***ამ დასკვნაში არაფერი საგანგაშო არ არის.*** *რამდენიმე რეკომენდაცია მოცემული მაისში და ჩვენ შარშან უკვე შესრულებული გვქონდა. ერთადერთი დავა მიდის იმაზე, რაზეც დავა უადგილოა. ეს კედლები ნამდვილად იყო სველი. სახურავს არ აქვს წყლის გამყვანი მილები (ჟოლობი), ამ კითხვას რომ სვამ გეუბნებიან ესთეტიურად უფრო ლამაზი იყო ამის გარეშე და მოხდა ის რაც მოხდა. და პროექტის განმახორციელებელმა დაუშვა შეცდომები. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ იმ ექსპერტებს, რომლებაც დადეს დასკვნა და ვკითხოთ თანახმანი არიან თუ არა რომ ეს გამოქვეყნდეს. და რაც მთავარია უნდა ვიცოდეთ რომ ეს ბრძოლა რაც მიმდინარეობს*

[7] https://www.youtube.com/watch?v=TvJo4nu4pxs

[8] https://monitori.ge/gasaidumloebuli-fiasko-gelatze/

[9] https://www.facebook.com/watch/?v=1580381502401941

გელათის გარშემო არის პოლიტიკური. პოლიტიკურია იმიტომ, რომ მოდაშია ჩემი გვარის ყველა ბრუნვაში ტრიალი. გელათი მაინც არ დავიცვათ და არ ვაქციო პოლიტიკური თამაშის საგნად. უნდა მივყვეთ იუნესკოს ექსპერტების რეკომენდაციებს. იანვრის ბოლომდე არ ჩამოვლენ (იგულისხმება იუნესკო) და ჩვენ ვერაფერს გეტყვით როგორ დახვდება გაზაფხულს ის ფრესკები, რომლის გამაგრებაც ჩვენ ვერ მოვასწარით."

გადაცემაში თეა წულუკიანმა ისაუბრა როგორც დანესტილ კედლებზე განხორციელებულ სამუშაოებზე, რაც მიმდინარეობდა 2021 წლის ივნისიდან, ისე ხსნადი მარილების შედეგად ფრესკების დაზიანებასთან დაკავშირებით. *,,არავინ პოლიტიკაში არ ვართ და ვერ ვიქნებით ჭრელი პეპლები. ზოგი გვიქადაგებს რომ გაფრინდი, ზოგი გვიქადაგებს რომ აღარ გაფრინდე, გაჩერდი. ეს არის ის ვითარება, რაშიც მე როგორც კულტურის მინისტრი ვიმყოფები 2021 წლის მარტიდან. რაც შეეხება იმას, თუ რატომ შეჩერდა სამუშაოები, ძალიან იმძლავრა იმ ადამიანების ჯგუფმა, რომელიც თვლის რომ ის რაც გაკეთდა 2021 წლის მარტიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით, იწვევს კითხვის ნიშნებს მეთოდოლოგიის კუთხით და რომ სჯობს დაველოდოთ იუნესკოს მისიას იანვრის ბოლოს.* ***მე ღიად მინდა ვთქვა და თქვენი ეთერის ჩანაწერი ისტორიას დარჩება, რომ მე ამას არ ვეთანხმები. ეს არ იყო შესაჩერებელი. ჩვენ შევჩერდით სექტემბერში.*** *იუნესკო გვატყობინებს რომ დასკვნას ვერ დადებენ იანვრის ბოლომდე, ეს ნიშნავს, რომ ბევრ დროს ვკარგავთ. ეს დაუშვებელი მგონია. იყო მოთხოვნა, რომ გავჩერებულიყავით და ჩვენ იძულებულები ვიყავით რომ ეს გაგვეზიარებინა. არამკითხე მოამზე თეორეტიკოსები მრავლად გამოუჩნდა გელათს და მე პირველი ვიყავი ვინც დაიწყო ლაპარაკი, მგონი იქ მართლა პრობლემებია მეთქი. ჯერ კიდევ დეპუტატი ვიყავი პარლამენტში 2020 წლის ბოლოს. და მართლაც, როდესაც მინისტრად დავინიშნე ჩემს გუნდთან ერთად და მთავრობის ხელშეწყობით შევეჭიდეთ ამ აურაცხელი პრობლემების ძირეულად მოგვარების პროცესს და ბევრი თეორეტიკოსი გამოჩნდა, რომლებიც ამბობდნენ, რომ* ***დაველოდოთ როდის გამოშრება,*** *ამ ყურებაში არაერთი ფრაგმენტი ჩამოცვივდა და სამუდამოდ დავკარგეთ და მაშინ მივხვდი, რომ მე ამ ადამიანებს არ უნდა დავუჯერო, თუ კი ვარ პასუხისმგებლიანი. იმიტომ რომ ყურებით არ გვარდება პრობლემები.* ***გამომარილებული ფრესკები საფრთხეშია, რადგან ჩვენ გაჩერებულები ვართ. სადაც არ გავჩერდით, ჩვენ გვაქვს საუკეთესო შედეგი.*** *...რასაც ხედავთ მაცხოვრის სახეს, როგორც გადავარჩინეთ. 1 წელი გავიდა და ამას არაფერი მოუვიდა. ამის შემდეგ გავაგრძელეთ იგივე მეთოდით მუშაობა. იუნესკომ გვირჩია მერაბ ბუჩუკური და მისი ჯგუფი. არაჯანსაღმა კონკურენციამ განაპირობა წყლის შეყენება ამ პროცესზე."*

მოცემულ შემთხვევაში, მინისტრს საერთაშორისო საბჭოს დასკვნის გასაჯაროვების პასუხისმგებლობა დამკვეთ უწყებაზე გადააქვს, რაც საზოგადოების შეცდომაში შეყვანის შთაბეჭდილებას ქმნის. ამ დროისთვის უკვე არსებობდა სამინისტროს ინიციატივითვე მომზადებული ლიზა შეკედესა და სტივენ რიკერბის დასკვნა, რომლის არათუ გათვალისწინება ძეგლზე ჩარევების განხორციელებამდე, არამედ კვლევის შედეგებზე საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირებაც არ მომხდარა. შესაბამისად, სამინისტროს თანხმობით ალტერნატიული შეფასების შესრულება ფორმალურ ხასიათს ატარებდა და წულუკიანის პოზიციონირება არა ანგარიშვალდებულებაზე გათვლილი, არამედ რეაქციული იყო.

2022 წლის 20 ნოემბერს გამოქვეყნდა ICOMOS საქართველოს მიერ ღვთისმშობლის შობის ტაძრის კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგის შედეგები. ანგარიში დაეფუძნა გელათის სამონასტრო კომპლექსში ძეგლის კონსერვაციული მდგომარეობისა და კედლის მხატვრობის მონიტორინგის შედეგებს, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს მიერ გელათის სამონასტრო კომპლექსში 2022 წლის 31 ოქტომბერს ორგანიზებული საველე ვიზიტის შედეგად განხორციელდა. ანგარიში იმეორებს შეკედე/რიკერბის და საპატრიარქოს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს პოზიციას და მკაცრად აკრიტიკებს კედლის მოხატულობის მიმდინარე სრულმასშტაბიან საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს. "დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავში განხორციელებული/მიმდინარე სრულმასშტაბიანი საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების მოცემულ ეტაპზე და მოცემული მეთოდოლოგიით განხორციელება ეწინააღმდეგება საერთაშორისო, თანამედროვე მიდგომებს. სამუშაოების იმ მეთოდოლოგიით, მასალებითა და მასშტაბებით განხორციელება, როგორც ეს 2021 წლის, მოწვეული უცხოელი სპეციალისტების ანგარიშშია განსაზღვრული, ცალსახად, რისკების შემცველი იყო, რაზეც ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები მუდმივად აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციას"-აღნიშნულია ანგარიშში.

2023 წლის იანვარში გამოქვეყნდა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მიერ ღვთისმშობლის შობის ტაძრის კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგის შედეგები. მონიტორინგის ანგარიში იმეორებს შეკედესა/რიკერბის, საპატრიარქოს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოსა და ICOMOS საქართველოს პოზიციას, და უკიდურესად მკაცრად აკრიტიკებს კედლის მოხატულობის მიმდინარე საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს.

2023 წლის 8 თებერვალს, გადაცემა "რეალური სივრცე"-ში საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ განაცხადა: "საპატრიარქო, როგორც იურიდიული მეპატრონე იმ განძისა, რომელიც ზოგადად საქართველოს ეკუთვნის ატარებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას. ჩვენ ვიცით მნიშვნელობა ამ ძეგლისა [გელათი] და **ჩვენ ვნახეთ, რომ მიუხედავად უარყოფითი დასკვნისა და ძალიან ბევრი რეკომენდაციისა, რაც პირველივე მისიამ დადო, მიუხედავად ამისა მაინც გრძელდებოდა სამუშაოები [კულტურის სამინისტროს მიერ] გელათის კედლის მხატვრობის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები იგივე მეთოდით რა მეთოდიც დაწუნებულ იქნა.**....უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც ესეთი მნიშვნელოვანი საკითხები წყდება ყოველთვის არის ორი გზა...ერთი არის, რომ დარჩეს ეს გზა, ეს საქმე იმ სფეროს ჩარჩოებში და ამ შემთხვევაში ეს გულისხმობს მეცნიერულ მიდგომას და მეორე არის საშიშროება იმისა, რომ ეს გავიდეს ამ ჩარჩოებიდან და მიიღოს პოლიტიკური სპეკულაციის სახე..."

2023 წლის 9 თებერვალს სამინისტრომ გამოქვეყნა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დასკვნა იუნესკოს მსოფლიო

მემკვიდრეობის ცენტრის (World Heritage Centre), კულტურულ ძეგლთა საერთაშორისო საბჭოსა (ICOMOS) და კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და რესტავრაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ICCROM) ერთობლივი ანგარიში. თუმცა მინისტრმა წულუკიანმა, საზოგადოებას ბრიფინგზე წარმოუდგინა დასკვნის მისეული ინტერპრეტაცია, ციტირებებით, რაც სრულად არ შეესაბამებოდა სიმართლეს.[10] რეალურად, UNESCO დასკვნით აქამდე გამოყენებულ მასალებსა და ტექნიკების უმეტესობაზე დაფიქსირებულია კრიტიკული პოზიცია და რეკომენდირებულია, რომ **აღარ გაგრძელდეს ამ მიდგომებით მუშაობა**. დასკვნის თანახმად, პირველ რიგში უნდა შესრულდეს გადაუდებელი სამუშაოები და <u>მოგვარდეს გადახურვის პრობლემა</u>, და მხოლოდ მას შემდეგ, დეტალური კვლევასა და კონკრეტულ საკონსერვაციო სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელდეს კედლის მხატვრობაზე საკონსერვაციო სამუშაობი.

თავის მხრივ, აღნიშნულ ბრიფინგზე მინისტრმა დაადასტურა **გელათის კომპლექსის მართვის სამოქმედო გეგმის არარსებობა: „-***იუნესკო გვსაყვედურობს, რომ არ არსებობს გელათის კომპლექსის მართვის სამოქმედო გეგმა. გეგმა არ არსებობს, რადგან 2017 წელს უნდა დამტკიცებულიყო და არ დამტკიცდა. როცა კულტურის სამინისტრო, 2021 წლიდან, შეუდგა პრობლემების აღმოფხვრას, 2017 წლამდე შემუშავებული სამოქმედო გეგმის პროექტი აღმოჩნდა მოძველებული, ახლის შემუშავებას კი სჭირდება პრობლემების სრულყოფილი ანალიზი და საჭიროებებზე დაფუძნებული ახალი გეგმა. ძეგლზე შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, იუნესკოს მისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ იუნესკოსთვის გასაგებია, პირველ ეტაპზე რატომ მიენიჭა უპირატესობა ფიზიკური ჩარევების განხორციელებას და არა ძეგლის მართვის გეგმის განახლებას“.*

სწორედ აღნიშნული ბრიფინგის შემდეგ, **2023 წლის 24 თებერვალს**, პრემიერ მინისტრის პირადი გადაწყვეტილებით, კულტურის სამინისტრომ, გელათის კომპლექსის კონსერვაცია-რესტავრაციის პროცესი საქართველოს საპატრიარქოს გადააბარა.

შეჯამება

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ, საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის პროფკავშირის მომართვისა და ამ ორგანიზაციის მიერ მოწოდებული და დამუშავებული საექსპერტო დოკუმენტაციის გამოკვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2021-2022 წლებში განხორციელებულმა ჩარევებმა გელათის კედლის მხატვრობა კულტურული

[10] https://www.facebook.com/MinistryofCultureSportandYouth/videos/2150044475167939

მემკვიდრეობის სტატუსის დაკარგვის საფრთხის წინაშე დააყენა, რაც მოსალოდნელი იყო არაერთი ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული საექსპერტო დასკვნებით. ამ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად განხორციელებულმა აქტივობებმა არათუ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მყოფი ძეგლზე მიყენებული დაზიანებები აღმოფხვრა, არამედ ძეგლზე დამატებითი შეუქცევადი ზიანი გამოიწვია.

როგორც აღინიშნა, მარიო პულიერისა და ვინჩენცო ჩენტანის მიერ განხორციელებული სამუშაო მიზნად ისახავდა, შეეფასებინათ ღვთისმშობლის შობის ტაძრის მთავარი სივრცის მხატვრობის მდგომარეობა და ტექნოლოგია. ასევე დაზიანებების გამომწვევი მიზეზები. რეკომენდაცია გაეწიათ წყლის შეღწევისგან დაცვის გზებზე და საჭირო გადაუდებელი ჩარევებისთვის, რომლებიც დაფუძნებული იქნებოდა მხატვრობაზე განხორციელებულ ტესტირებებზე. ძეგლზე განხორციელებულ ჩარევებამდე, მარიო პულიერის და ვინჩენცო ჩენტანის მიერ შემუშავებულმა კედლის მხატვრობის რეაბილიტაცია-კონსერვაციის მეთოდოლოგიამ საწყისსავე პერიოდში, მათ შორის 2021 წლის ივნისში არსებითი კრიტიკა გამოიწვია.

ალტერნატიული საექსპერტო დასკვნები არ იქნა გაზიარებული პასუხისმგებელი პირის/პირების მიერ, რისი გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო მინისტრის მიერ შერჩეული ჯგუფის (პულიერის და ჩენტანის) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით ძეგლზე განხორციელებულ ჩარევებამდე.

რა არ გაითვალისწინა კულტურის მინისტრმა:

- ლიზა შეკედესა და სტივენ რიკერბის 2021 წლის 15 სექტემბრის დასკვნა, რომელიც იტალიელი ექსპერტების მიერ შემუშავებულ კონსერვაციის პროექტს და ამ მეთოდით ჩარევას კედლის მხატვრობაზე, დაუშვებლად მიიჩნევდა. დასკვნა ცალსახად მიუთითებდა, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციების მიყოლის შემთხვევაში, ისედაც მძიმე მდგომარეობაში არსებული ძეგლი კიდევ უფრო კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ლიზა შეკედესა და სტივენ რიკერბის დასკვნა არსებობდა სამინისტროს გადაწყვეტილებით მათ შორის 2021 წლის 16-21 ოქტომბერს განხორციელებულ ჩარევებამდე. შესაბამისად, აღნიშნული ალტერნატიული დასკვნა ხელმისაწვდომი იყო იმ დროისთვის, როდესაც პულიერი და ჩენტანის მეთოდოლოგიით, ჯერ კიდევ გამოუმშრალ, სველ ბათქაშზე განახორციელდა არა მხოლოდ საკონსერვაციო, არამედ სარესტავრაციო სამუშაოებიც. აღნიშნულმა კი მოგვიანებით კედლის მხატვრობა კრიტიკულ მდგომარეობამდე მიიყვანა, რაც დადასტურდა არაერთი საერთაშორისო ექსპერტის მიერ.
- ICOMOS-ის 2020-2021 წლების ორივე დასკვნა, რომლითაც ICOMOS-ი მოუწოდებდა კულტურის სამინისტროს სიფრთხილისაკენ, დროებითი გადახურვის გაფართოების და გამაგრებისაკენ, რაც მთავარია მოკლე და გრძელვადიანი საკონსერვაციო გეგმის შემუშავებისაკენ. ICOMOS-ის 2022 წლის თებერვლის ანგარიში, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს არ ჩაუტარებია <u>ყველა მხატვრობის მდგომარეობის დეტალური შეფასება,</u> ძირითადი საკითხების გადასაჭრელად.

- საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს დასკვნა წულუკიანის მინისტრობიდან 1 წლის თავზე მომზადდა. მიუხედავად დასკვნაში არსებული გაფრთხილებებისა (რასაც დეტალურად ქვემოთ აღვწერთ) პროცესი და სარესტავრაციო სამუშაოები ფორსირებული ტემპით გრძელდებოდა. საქართველოს საპატრიარქოს მიერ ორგანიზებული ექსპერტთა მისიის დროს გამოვლინდა, რომ 2022 წლის ივნის-სექტემბერში მთავარი ტაძრის ნაწილში განხორციელდა მასშტაბური ჩარევა ადრე შემუშავებული მეთოდოლოგიით. ამ დროისთვის კედლის მხატვრობის დაზიანება (დასავლეთ მკლავში და მიმდებარედ) კვლავ მიმდინარეობს და მხატვრობის დანაკარგი გაზრდილია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს დასკვნა, არსებითად, იმეორებს შეკედესა და რიკერბის დასკვნას.

საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს დასკვნაში დეტალურად არის განხილული კედლის მხატვრობის დაზიანება და გამოყოფილია ის ძირითადი მიზეზები, რამაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. დოკუმენტში განხილულია შენობასა და გარემოსთან დაკავშირებული საკითხები და მათ წვლილი მხატვრობის მდგომარეობის გაუარესების პროცესში, რაც ანგარიშის მომზადების დროისთვის ფიქსირდებოდა. კერძოდ:

1.1 კედლის მხატვრობის დაზიანების მდგომარეობა და მისი მიზეზები

- დასავლეთის მკლავის კამარაში შემოთავაზებული და განხორციელებული გადაუდებელი მკურნალობა/ჩარევა (პულიერის და ჩენტანის ანგარიში, დათარიღებული 2021 წლის სექტემბრით) გაკეთდა მანამ, სანამ მოხდებოდა ტენიანობისა და მარილის პრობლემის სრულად გააზრება/შესწავლა.
- ტენიანობის და მარილებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, კედლის მხატვრობის დაზიანება არის აქტიური, მიმდინარე და მძიმე.
- გაუმართავი სახურავით გამოწვეულმა წყლის ინფილტრაციამ გამოიწვია კედლის მხატვრობის დიდი ტენისმიერი დაზიანება და ასევე მოახდინა ხსნადი მარილების ტრანსპორტირება ქვის წყობიდან კედლის მხატვრობაში (იხ. აგრეთვე 1.1 შენობების კონსერვაცია).
- დაშლისა და კრისტალიზაციის გზით გამოხატულმა მარილის აქტივობის **განმეორებითმა ციკლებმა** დრამატული გავლენა მოახდინა მხატვრობის მდგომარეობაზე, რამაც გამოიწვია ფერწერისა და ნალესობის ფენების გაფხვიერება/დაშლა და ადგილების მნიშვნელოვანი დანაკარგი.
- დასავლეთ მკლავის სამხრეთ კედელზე **გამომარილება მიმდინარეობს იმ ადგილებში, სადაც კედლის გამაგრება გასული წლის პერიოდში განხორციელდა,** რაც ადასტურებს იმას, რომ გამომწვევი მიზეზი არ არის გამოკვლეული/აღმოფხვრილი და არ კონტროლდება.
- მდგომარეობაზე დაკვირვებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ კედლები ჯერ კიდევ სველია და რომ მარილის დესტრუქციული აქტივობის შედეგად გამოწვეული შემდგომი დანაკარგი გაგრძელდება კედლების გაშრობისას და ფარდობითი ტენიანობის მერყეობისას.

1.2 შენობის გაშრობა

- კედლის მხატვრობის შესანარჩუნებლად აუცილებელია შენობა წყალგაუმტარი იყოს წლის მაისში ღვთისმშობლის შობის ტაძრის დასავლეთ მკლავზე შეიცვალა დროებითი გადახურვა და მოიხსნა დაზიანებული კრამიტის საფარი ამჟამად, მოჭიქული ფილები ხელს უშლის სტრუქტურის გაშრობას ექსტერიერისკენ. მოჭიქული ფილები უნდა მოიხსნას, როგორც ამას გვირჩევენ მასარი და ტონიეტი/სტეფანინი. დროებითი სახურავი უნდა დამონტაჟდეს საკმარისი სათავე სივრცით, რათა შესაძლებელი იყოს ვენტილაცია და ჰაერის მიმოცვლა. პერფორირებული შეფუთვა სასარგებლო იქნება, რათა დიდმა წვიმამ ხელახლა არ დაასველოს შემავსებლის მასალა; ეს უნდა იქნას დაყენებული, რათა უზრუნველყოფილი იქნას შეფუთვაში ჰაერის კარგი მიმოცვლა და ვენტილაცია. ეს რეკომენდაცია სამინისტრომ მხოლოდ დასავლეთ მკლავში გაიზიარა.
- **შენობის წყალგაუმტარობის უზრუნველყოფის შემდგომ,** გაჯერებული შენობის სტრუქტურის გაშრობას შეიძლება **მრავალი წელი დასჭირდეს.** პრაქტიკული წესი არის ის, რომ შენობის სტრუქტურის თითოეული 25 სმ-ის გაშრობას შეიძლება ერთ წლამდე დასჭირდეს. **შესაძლებელია, რომ ეკლესიის შენობის გაშრობას სამიდან ხუთ წლამდე დასჭირდეს მას შემდეგ, რაც შენობა წყალგაუმტარი გახდება.** კედლის მხატვრობის რისკის გათვალისწინებით, რეკომენდებულია კედლის გაშრობა მოხდეს თანდათანობით, რათა თავიდან იქნას აცილებული მარილის დესტრუქციული მოქმედება და განხორციელდეს რეგულარული მონიტორინგი.
- გაშრობის პროცესის დაჩქარება კედლის გაცხელებით, როგორც ამას პულიერი და ჩენტანი ვარაუდობენ, არ არის რეკომენდებული.

1.3 გარემო პირობები

- საბჭოს შეფასენით, ტენიანობის პრობლემის მოგვარება უმთავრესი პირველი ნაბიჯია, რასაც მოჰყვება კედლების კონტროლირებადი გაშრობა. 2022 წლის მაისის ვიზიტის დროს, მაღალი ფარდობითი ტენიანობის- RH-ის (78%) პირობებში, დაფიქსირდა კრისტალური მარილების კედლის მხატვრობის ზედაპირზე არსებობა, ამასთან, შესაძლებელია RH-ის შემცირებასთან ერთად, მარილების სხვა სახეობებიც გამოჩნდეს. ამ საზიანო ციკლების თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კედლები და ჭერი შრება, და ასევე დროთა განმავლობაშიც, რეკომენდებულია ეკლესიის შიგნით RH-ის ცვალებადობის შეზღუდვა დასავლეთის კარისა და ფანჯრებიდან გარე ჰაერის შეღწევის შემცირებით.
- მეტად რეკომენდირებულია, გაგრძელდეს გარემოს დაცვითი მონიტორინგის სამუშაოები, რომელიც დასრულდა 2021 წლის სექტემბერში.
- გარდა ფერწერული ფენების დაზიანებისა, კონდენსაციამ შეიძლება გამოიწვიოს ობის სპორების განვითარება და ხელი შეუწყოს მათ ზრდას. ტემპერატურის

თანდათანობითი ცვლილების მიღწევა შესაძლებელია გარე და შიდა ჰაერის მიმოცვლის შემცირებით.

2022 წლის 20 ნოემბერს გამოქვეყნებული ICOMOS-ის დასკვნით[11] კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავში განხორციელებული/მიმდინარე სრულმასშტაბიანი საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების მოცემულ ეტაპზე და მოცემული მეთოდოლოგიით განხორციელება ეწინააღმდეგება საერთაშორისო, თანამედროვე მიდგომებს. დასკვნის მიხედვით, **ამჟამად კედლის მხატვრობის დაზიანება (დასავლეთ მკლავში და მიმდებარედ) კვლავ მიმდინარეობს და მხატვრობის დანაკარგი გაზრდილია.** აღსანიშნავია, რომ დანაკარგები შეინიშნება, სავარაუდოდ, არათავსებადი მეთოდოლოგიით გამაგრებულ არეალებშიც. დასკვნაში ვკითხულობთ:

- **დასავლეთ მკლავის სამხრეთ კედელზე გამომარილება მიმდინარეობს იმ ადგილებში, სადაც კედლის გამაგრება გასული წლის პერიოდში განხორციელდა, რაც ადასტურებს იმას, რომ გამომწვევი მიზეზი არ არის გამოკვლეული/აღმოფხვრილი და არ კონტროლდება.**
- **დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე დაფიქსირებულია რეკონსტრუქციის და ტონირების ადგილები. აღსანიშნავია, რომ ჩარევის ეს მეთოდები არ იყო მითითებული ასოციაცია ჯოვანი სეკო სუარდოს 2021 წლის დოკუმენტში, როგორც ჩასატარებელი სამუშაო.**

,,სამუშაოების იმ მეთოდოლოგიით, მასალებითა და მასშტაბებით განხორციელება, როგორც ეს 2021 წლის, მოწვეული უცხოელი სპეციალისტების ანგარიშშია განსაზღვრული, ცალსახად, რისკების შემცველი იყო, რაზეც ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები მუდმივად აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციას"- აღნიშნულია დასკვნაში.

ადგილობრივი ექპერტები ძეგლის დაზიანებაზე

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის 2023 წლის იანვარის მონიტორინგის ანგარიში იმეორებს შეკედესა/რიკერბის, საპატრიარქოს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოსა და ICOMOS საქართველოს პოზიციას, და უკიდურესად მკაცრად აკრიტიკებს კედლის მოხატულობის მიმდინარე საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს. კერძოდ, ძეგლის **ტონირება-რესტავრაციასთან** დაკავშირებულ სამუშაოებს უკიდურეს შემაშფოთებელ მეთოდოლოგიურ დარღვევად აფასებს და აღნიშნავს, რომ შემსრულებელთა მიერ დასავლეთ მკლავში ფართოდ გამოყენებული ტონირება-რესტავრაციის მიდგომა ეწინააღმდეგება უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს. სქემატური და ქრომატული აღდგენები კი დასავლეთი მკლავის მხატვრობის

[11] 2022 წლის 31 ოქტომბრის საველე ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული კედლის მხატვრობის მონიტორინგის შედეგები

გამშვენება-გადარჩენის ილუზიას ქმნის. დასკვნის მიხედვით, ,,გელათში გამოყენებული მიდგომა - **ორიგინალ ბათქაშზე რესტავრატორების ჩარევა,** მათ მიერ ინტერპრეტირებული რეალობით ისტორიული რეალობის ჩანაცვლება - არსებითად, მხატვრობის ფალსიფიკაციას წარმოადგენს და აზიანებს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სახეს." ამავე დოკუმენტის მიხედვით, ,,**დაზიანებების აქტივიზაციის პროცესი**, მარილის კრისტალიზაციის, ფერწერული ფენის გაფხვიერებისა თუ აქერცვლის სახით, სამუშაოების შესრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ უკვე თვალსაჩინოა მოხატულობის აღდგენილ მონაკვეთებთან".

მედიაპლატფორმა "მაუწყებელთან" 2023 წლის 11 თებერვლის ინტერვიუში[12] გვანცა ფოცხიშვილი, კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტი, ICOMOS საქართველოსა და მეცნიერების, განათლებისა და კულტურის პროფესიული კავშირის წევრი, მოგვითხრობს, თუ როგორ გაუარესდა გელათის სამონასტრო კომპლექსის კედლის მხატვრობის მდგომარეობა წულუკიანის არათანმიმდევრული და არაკომპეტენტური პოლიტიკის შედეგად: *ნელ-ნელა გახდა გაუმჭვირვალე და დახურული. ნებისმიერი ინფორმაციის მიღება სამინისტროდან და სააგენტოდან თითქმის შეუძლებელი გახდა. ინფორმაციის მიღების ერთადერთი წყარო მხოლოდ სამინისტროს და სააგენტოს საჯარო განცხადებები და ხელშეკრულებები იყო. პროცესები განსაკუთრებით გაუმჭვირვალე და ჩაკეტილი გახდა 2021 წლის სექტემბრიდან, როდესაც გელათში დაიწყო ფიზიკური სამუშაოების განხორციელება. 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის სექტემბრამდე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ერთი დოკუმენტიც კი არ არის საჯარო. ამ ჯგუფის საქმიანობის ანგარიში არის უცნობი პროფესიული და ფართო წრისთვის. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ კერძო პირების მიერ გადაღებული ფოტომასალიდან ჩანს, როგორ მიმდინარეობდა ფერწერული ფენის ტონირება (განახლება). ამან გამოიწვია აჟიოტაჟი და კითხვები პროფესიული წრიდან. ამის შემდეგ პროცესები შეჩერდა. მოგვიანებით - 2022 წლის შემოდგომაზე ICOMOS-ის ვიზიტის დროს მიეცა საშუალება საზოგადოებას, ენახა თუ რა ხდებოდა გელათში 1 წლის განმავლობაში.*

სამართლებრივი დასაბუთება

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ, საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის პროფკავშირის მომრთვისა და ამ ორგანიზაციის მიერ მოწოდებული და დამუშავებული საექსპერტო დოკუმენტაციის გამოკველვის შედეგად გამოიკვეთა, რომ , 2021-2022 წლებში განხორციელებულმა ჩარევებმა გელათის კედლის მხატვრობა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის დაკარგვის საფრთხის წინაშე დააყენა, რაც მოსალოდნელი იყო

[12] https://www.facebook.com/story.phpstory_fbid=605278955064385&id=100083359899762&mibextid=KsPBc6&startTimeMs=6000

არაერთი ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული საექსპერტო დასკვნებით. ამ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად განხორციელებულმა აქტივობებმა არათუ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მყოფი ძეგლის დაზიანება აღმოფხვრა, არამედ ძეგლზე დამატებებითი შეუქცევადი დაზიანებები გამოავლინა.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების პირველი მუხლის მიხედვით, სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს. ამავე დებულების მე-2 მუხლის მიხედვით, **კულტურის სფეროში სამინისტროს ამოცანებს განეკუთვნება: კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება/წარმართვა,**[13] საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების შესაბამისად, მატერიალური და არამატერიალური **კულტურული მემკვიდრეობის, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების,** სხვა კულტურულ ფასეულობათა გამოვლენის, აღრიცხვის, აღიარებული სტანდარტების შესაბამისი **კონსერვაციის/რესტავრაციის, სათანადოდ დაცვისა** და პოპულარიზაციის უზრუნველყოფა; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებისათვის **აუცილებელი კვალიფიკაციის მქონე პირების გამოვლენა,** მათი პროფესიული ცოდნის შემოწმება და შესაბამისი რეესტრის წარმოება;[14] კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ჩატარების წესის განსაზღვრასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება;[15]

სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მიხედვით, მინისტრი წარმოადგენს[16] და ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას, კოორდინაციას უწევს შესაბამის დარგებში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროსთან მიკუთვნებულ საკითხებს. გარდა ამისა, სამსახურებრივ ზედამხედველობას (სახელმწიფო კონტროლს) უწევს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას;[17] დებს და წყვეტს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამინისტროს უფლებამოსილებათა სხვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის დელეგირების შესახებ;[18]

საქართველოს კანონი ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ აგრეთვე განსაზღვრავს სამინისტროს უფლებამოსილებებს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში. ამ კანონის მე-5

---

[13] ,,ზ“ პუნქტი;
[14] ,,ი“ პუნქტი;

[15] ,,კ“ პუნქტი;
[16] ,,გ“ პუნქტი
[17] ,,ბ“ პუნქტი
[18] ,,ქ“ პუნქტი;

მუხლის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში **სამინისტრო ზედამხედველობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ამასთანავე, შეიმუშავებს და წარმართავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას.** გარდა ამისა, ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, დაცვას, პოპულარიზაციას და მისი **მდგომარეობის სისტემატურ შემოწმებას**.

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით, მინისტრი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული აქტების გამოცემის უფლებამოსილება ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისთვის დელეგირებულ უფლებამოსილებათა მოცულობა, განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულებით.

მინისტრის მიერ კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს სსკ-ის სამოხელეო თავით გათვალისწინებული დანაშაულების მაკვალიფიცირებელ ნიშანს, რადგან დანაშაულს სპეციალური ამსრულებელი ჰყავს და სწორედ მისი სამსახურებრივი პრივილეგიით არის განპირობებული დანაშაულის ჩადენა. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები ერთმანეთისგან სპეციალური ნიშნებით განსხვავდება, რაც გამოძიების ფარგლებში უნდა გამოიკვეთოს. *სსსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია **სამსახურებრივი გულგრილობა,** ესე იგი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია*; საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებულ მოხელის გულგრილ მოქმედებასთან გვაქვს საქმე მაშინ, როდესაც იგი არაჯეროვნად ასრულებს სამსახურებრივი მდგომარეობით გათვალისწინებულ საქმიანობას. სამსახურებრივი გულგრილობა გამოიხატება მხოლოდ გაუფრთხილებლობაში. ამ დროს პირს გაცნობიერებული აქვს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ არასასურველ შედეგს თავიდან აიცილებს ან არ ითვალისწინებს ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც. შესაბამისად, სამსახურებრივი გულგრილობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც თვითიმედოვნებით, ასევე დაუდევრობით.

მინისტრი არაერთი საერთაშორისო საექსპერტო დასკვნის საფუძველზე ინფორმირებული იყო კედლის მხატვრობის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის იტალიელი ექსპერტების მიერ შერჩეული მეთოდოლოგიით მოსალოდნელი იმ მძიმე შედეგების შესახებ, რაც ძეგლზე განხორციელებულ ჩარევებს მოჰყვებოდა. წულუკიანის მიერ განხორციელებული ქმედებები ისევე როგორც მისი პოზიციონირება საერთაშორისო ექპერტების მიერ წარმოდგენილ

ალტერნატიულ დასკვნებსა თუ რეკომენდაციებზე[19], ცალსახად მიუთითებს მოსალოდნელი საფრთხეების მიმართ მინიმუმ მის გულგრილ, ზერელე დამოკიდებულებაზე. როგორც აღინიშნა, მინისტრის მიერ ალტერნატიული დასკვნებით არსებული რეკომენდაციების არათუ გათვალისწინება, არამედ კვლევის შედეგებზე საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირებაც არ მომხდარა.

ექსპერტთა მიერ პირველი რიგის ამოცანად დასახელებული იქნა მაღალი ტენიანობის პრობლემის მოგვარება და ტაძრის ინტერიერის ხანგრძლივი და თანაბარი გამოშრობა, მოხატულობის მუდმივი მონიტორინგის თანხლებით და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში გადაუდებელი ჩარევების განხორციელება. სრულიად მკაფიოდ იქნა გაცემული რეკომენდაცია მოხატულობის სრული კონსერვაციის შესაძლებლობის შესახებ მხოლოდ ტაძრის სრული გამოშრობის შემდეგ.

არსებული რეკომენდაციების მიუხედავად, შედეგად დადგა შემდეგი რეალობა: ჯერ კიდევ სველ ბათქაშზე განხორციელდა არა მხოლოდ საკონსერვაციო, არამედ სარესტავრაციო სამუშაოებიც. აღნიშნულმა კი მოგვიანებით კედლის მხატვრობა კრიტიკულ მდგომარეობამდე მიიყვანა. დასავლეთის მკლავის კამარაში განხორციელებული გადაუდებელი მკურნალობა/ჩარევა გაკეთდა მანამ, სანამ მოხდებოდა ტენიანობისა და მარილის პრობლემის სრულად გააზრება/შესწავლა. შედეგად, **დასავლეთ მკლავის სამხრეთ კედელზე გამომარილება მიმდინარეობს იმ ადგილებში, სადაც კედლის გამაგრება გასული წლის (იგულისხმება 2021 წელი) პერიოდში განხორციელდა, რაც ადასტურებს იმას, რომ გამომწვევი მიზეზი არ არის გამოკვლეული/აღმოფხვრილი და არ კონტროლდება.** შესაბამისად აუცილებელი გახდა, მხატვრობის დაზიანების გარეშე მოიხსნას მასალა, რომელიც მინისტრის მიერ შერჩეულმა ჯგუფმა არასტაბილურ გარემოში დაიტანა ძეგლზე.

ამასთანავე, ძეგლზე ჩარევების განხორციელებამდე არ არსებობდა გელათის კომპლექსის მართვის სამოქმედო გეგმა და ეფექტური ზედამხედველობის მექანიზმი, ვინაიდან სამუშაო ჯგუფის შერჩევა, აქტივობების განხორციელება და პოლიტიკის დაგეგმვა ერთი უწყების - სამინისტროს უშუალო ჩართულობით ხდებოდა. გადაწყვეტილებების მიღების პროცესი კი უკიდურესად ცენტრალიზებული და გაუმჭვირვალე იყო. შესაბამისად, უფლებამოსილების ამგვარი კონცენტრაციით (ექსპერტთა შერჩევა, პროექტის განხორციელება და მისი კონტროლი) სამინისტრომ არათუ ვერ უზრუნველყო ძეგლის ეფექტური მოვლა, არამედ ძეგლზე შეუქცევადი ზიანი გამოიწვია.

გარდა ამისა, 2021 წლის სექტემბერში შეწყდა გარემოსდაცვითი მონიტორინგის სამუშაოები, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ტაძარში კლიმატის მდგომარეობის შეფასებისათვის, რასაც რეალურად უნდა დაფუძნებოდა ეფექტური კონდენსირების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა. ექსპერტების შეფასებით, ფარდობითი ტენიანობის სტაბილურობის

[19] ლიზა შეკედესა და სტივენ რიკერბის დასკვნა (15/09/2021), რომელიც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თხოვნის საფუძველზე შესრულდა; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს მიერ მოწვეული ოსტინ ნევინის, სარა სტენიფორთის, ლორინდა ვონგის და ფრანჩესკა პიკეს მიერ მომზადებული დასკვნა (ვიზიტი, 1-2/05/2022) და იკომოს საქართველოს მიერ მომზადებული დოკუმენტები (12/10/2020 და 20/11/2022).

უზრუნველყოფა არის კედლების კონტროლირებადი გამოშრობის წინაპირობა, მას შემდეგ რაც სრულად აღმოიფხვრება ტაძარში წყლის შეღწევის პრობლემა.

რაც შეეხება, საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით განსაზღვრულ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, აღნიშნული დანაშაული სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ მოხელე მოქმედებს სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, მაგრამ მისი ქმედება ეწინააღმდეგება საჯარო (სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სამსახურებრივ) ინტერესებს. ამასთან, იგი ასეთ ქმედებას უნდა ახორციელებდეს თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის (მატერიალური სიკეთის) ან უკანონო უპირატესობის მიღების მიზნით, რითაც ის არსებითად არღვევს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებას ან საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს.

აღსანიშნავია, იმედთან მიცემულ კომენტარში[20] მინისტრმა თავად დაადასტურა, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გელათის რესტავრაცია-რეაბილიტაცია პოლიტიკური მნიშვნელობის თემაც იყო: ,,*რამდენიმე რამ არის: არის ფულის თემა და არის პოლიტიკური თემა. სადაც მე პირადად გადავწყვეტდი რომ სხვანაირად დაგვეორგანიზებინა ხარვეზების აღმოფხვრის პროცესი. როდესაც მე დავინიშნე მინისტრად, რასაც თქვენ აჩვენებთ ეს პრობლემები უკვე იყო და ჩვენი დანაშაული ის არის რომ პრობლემაა და მეორე რომ პრობლემის მოგვარებას ვიწყებთ. ...არ შეიძლება ურჩიო კულტურის მინისტრს ჯერ გამოშრეს და მერე გადადგი ნაბიჯები. თუმცა მე მოვუსმინე ყველას. ლამის სამი თვე გაფართოებულ ჯგუფებში მე თვითონ ვსწავლობდი ყველა პოზიციას.*"

2020 წელს წულუკიანის მიერ სწორედ გელათში მიმდინარე რეაბილიტაციის მიმართ პარლამენტში გაკეთებული კრიტიკული შეფასებები უძღოდა წინ მის მინისტრად დანიშვნას. ამ დროისთვის პოლიტიკური მნიშვნელობის თემად უკვე ქცეულიყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაზიანების საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ შემთხვევაში, თუ წულუკიანი მისივე თანხმობით, ლიზა შეკედესა და სტივენ რიკერბის მიერ შემუშავებულ ალტერნატიულ დასკვნას გაიზიარებდა, იგი ძეგლის გამოშრობას მინიმუმ 3-5 წელი უნდა დალოდებოდა, რა შემთხვევაშიც კულტურის სამინისტროსთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური თემის - გელათის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საკითხი დროში გაჭიანურდებოდა.

წულუკიანის ქმედებები ზემოთ ჩამოთვლილი საექსპერტო დასკვნებისა და ქმედებათა ქრონოლოგიის, მათ შორის სამუშაო დოკუმენტებისა თუ ალტერნატიული საექსპერტო დასკვნების გაუმჟღავნელობის გათვალისწინებით, წარმოშობს გონივრულ ეჭვებს, დაფარულიყო ძეგლის დაზიანების გამომწვევი რეალური მიზეზები. წულუკიანის მიერ საზოგადოების ინფორმირებაც გელათში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით იყო რეაქციული და არა ანგარიშვალდებულებაზე გათვლილი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი და პროკურორი

[20] https://bit.ly/3O4N8aT

ვადლებულნი არიან დაიწყონ გამოძიება. ყურადღება უნდა გამახვილდეს გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების ვალდებულებაზეც, რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ გამოძიების დაწყებისა და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების დროულობა განსაზღვრავს, დადგინდება თუ არა ჭეშმარიტება სისხლის სამართლის საქმეზე. გამომძიებელმა/პროკურორმა, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას, თავიანთი ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის მიზნით. გამოძიების ჯეროვნად ჩატარება შეუძლებელია შესაძლო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან დროის მოკლე პერიოდში გამოძიების დაწყების გარეშე. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ გამოძიება ჩატარდეს დროულად, ეფექტურად და გამჭვირვალედ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დამდგარი გამოუსწორებელი ზიანი მოვლენათა განვითარების ქრონოლოგიის გათვალისწინებით სავარაუდო სამოხელეო დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი და საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირი მოუწოდებს **საქართველოს გენერალურ პროკურატურას:**

- აწარმოოს სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება და გამოკვეთოს შესაძლო დანაშაულის ნიშნები;
- გამოიკითხოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი;
- გამოძიება წარმართოს მაქსიმალურად დროულად და უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება იმ დოზით, რაც არ დააზიანებს გამოძიების ინტერესებს;